

პოლიტიკური სოციალიზაცია მოზარდებში

თინათინ ჯინჭარაძე-ჯუღელი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების
და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მისანიჭებლად*

სოციოლოგიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ემზარ ჯგერენაია, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

როგორც სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თინათინ ჯინჭარაძე -ჯუღელი. 27.06.20016.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს პოლიტიკური სოციალიზაციის თავისებურებების შესწავლას ქართველ მოზარდებში. ნაშრომში პოლიტიკური სოციალიზაცია გაანალიზებულია კულტურისა და პოლიტიკური სისტემის ურთიერთქმედების კონტექსტში.

ნაშრომი შედგება თეორიული ნაწილისაგან და ჩემ მიერ ჩატარებული კვლევისაგან. პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი სხვადასხვა კონტექსტიდან შესასწავლი ფენომენია. ამ პროცესში ჩრთულია მთელი რიგი გარემოებები: კულტურა, პოლიტიკური სისტემა და სოციალიზაცია. ამ გარემოებების ერთობლიობა აყალიბებს პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესს მოზარდებში, რომელიც ღრმა ბავშვობიდან იწყება და მთელი ცხოვრების განმავლობაში მიმდინარეობს.

თეორიული ექსკურსის შემდეგ, ჩატარდა თვისებრივი ხასიათის კვლევა, რომელიც პირველადი პოლიტიკური სოციალიზაციის თავისებურებების შესწავლას ემსახურებოდა. 24 სიღრმისეული ინტერვიუს ანალიზმა, რომელიც 4 სხვადასხვა ტიპის სკოლის მეორე, მესამე და მეოთხე კლასის მოზარდებში ჩატარდა ცხადყო, რომ პირველადი პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი მიმდინარეობს არსებული (ქართული) პოლიტიკური კულტურის ღირებულებების და რწმენების ზეგავლენით. როგორც კოლექტივისტური კულტურის მქონე საზოგადოებებისთვის არის დამახასიათებელი, მოზარდებსაც მაღალი მოლოდინი აქვთ პოლიტიკური პარტიების და პოლიტიკოსების მიმართ, რომ მათ ბედზე და იღბალზე პოლიტიკურ ლიდერებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა. ქართული პოლიტიკური სოციალიზაციის გავლენები შესწავლილია პოლიტიკური კულტურის ღირებულებებისა და მოლოდინების კონტექსტში. პოლიტიკური სოციალიზაციის ძირითად აგენტებად დადასტურებულია მედია საშუალებები.

მედიიდან მიღებული ინფორმაციით მოზარდებს, უყალიბდებათ გარკვეული შეხედულებები, დამოკიდებულებები და მოთხოვნები პოლიტიკური ლიდერების მიმართ.

მოცემული კვლევა ქართველ მოზარდთა პოლიტიკური სოციალიზაციის შესწავლის ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სოციალიზაცია, კულტურა, პოლიტიკური სოციალიზაცია, პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური სისტემა;

Abstract

The present work aims to study the peculiarities of the political socialization in the Georgian adolescents. Process of political socialization is considered as the basis of culture and political system interaction.

The thesis consists of two parts: theoretical and empirical. The process of political socialization is phenomenon which should be studied with the holistic approach. There are number of factors which determine the process: culture, political system and socialization. This sum of the given factors forms the characteristics of political socialization which starts in a deep childhood and lasts whole life.

After the theoretical excursion, qualitative research was conducted, which aimed to study characteristics of primary political socialization process in Georgian adolescents. The Analysis of

24 depth interview, that were held in 4 different types of school –with the adolescents from second, third and fourth classes - revealed that the first political socialization process is influenced by Georgian political culture, values and beliefs. As it is typical for the collectivist orientation culture, adolescents have high expectations from political parties and politicians – considering that the political leaders are responsible for their fate and luck. Impacts of Georgian political socialization have been studied in the context of the political culture, values and expectations. The media is considered as the main agent of political socialization.

The information received from the media, forms views, attitudes and demands for political leaders.

The given research is the first attempt of studying the political socialization process in the Georgian adolescents.

Key words: socialization, culture, political socialization, political culture, political system;

მადლობა

მინდა, მადლობა გადავუხადო ჩემი კვლევის ხელმძღვანელს ბატონ ემზარ ჯგერენაიას, რომელმაც მნიშვნელოვნი წვლილი შეიტანა ჩემს ნაშრომში. სწორედ მან გამიჩინა ინტერესი მეკვლია, პოლიტიკური სოციოლიოგაციის მახასიათებლები ქართველ მოზარდებში. ბატონი ემზარის მიერ მითითებული ლიტერატურა და შენიშვნები დამეხმარა ადვილად მომეხდინა ჩემი იდეების ფორმულირება და ნაშრომის კონსტრუირება.

ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო იმ სკოლების დირექტორებსა და პედაგოგებს, რომელთაც მოხსენიებულია ჩემს კვლევით პროექტში. მათი დახმარებითა და ხელშეწყობით შევძელი, ჩამეტარებინა სიღრმისეული ინტერვიუები მოზარდებთან.